საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10851/01
17/11/2020

10851-01-2-202011171725

**სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 19 ოქტომბრის N16466 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის - მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წელიწადში 3 500 000 $მ^3$) სამეწარმეო მიზნით მოპოვების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილ განცხადებაში განხილული საკითხი ეხება სალიცენზიო ობიექტიდან მტკნარი სასმელი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებას, საჭიროა დაზუსტდეს, თუ რა მიზნით და რომელი სამეწარმეო საქმიანობისათვის იგეგმება წყლის მოპოვება. ამასთან, ვინაიდან არსებული ინფორმაციით, რეგიონში არსებობს სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემა, მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხი აგრეთვე განხილულ იქნეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ და სამინისტროს ეცნობოს მათი პოზიცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით იმსჯელებს აღნიშნული გარემოების დაზუსტების შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044